პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

შაბათი 22 მარტი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 5 კაპ. ჩერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი არმიელი

№ 457 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., რუსთ. პროს. ქართ. დივ. შტაბი ქალ. ელს. № 1—40
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვ. ნეც. ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე.

განცხადება.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი ამით აცხადებს, რომ ორშაბათს 24 მარტს საღამოს 6 საათზე სახალხო სახლში (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის) დანიშნულია თბილისის საბჭოს პლენუმის სხდომა.

დღის წესრიგი:

1) კომუნალური განყოფილების მოხსენება:
   ა) წარმოებები, ბ) კეთილ-მოწყობა, გ) ბინის საკითხი.
2) მიმდინარე საკითხები.

საბჭოს ყველა წევრებისათვის და კანდიდატებისათვის დასწრება სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

ნუ გასწყვეტთ კავშირს ჩვენ გაზეთთან.

კიდევ რამოდენიმე დღე წითელ ყაზარმაში ყოფნისა და აპრილის პირველ დღეებიდანვე ჩვენი წითელი-მოლაშქრეები წავლენ უვადო შვებულებაში. არა ნაკლები საპასუხისმგებლო მუშაობა უძევთ მათ წინ სოფლად, ვიდრე ეს ქონდა წითელ ყაზარმაში.

ჩვენი სოფელი დღეს გამოდის აღორძინების გზაზე. მუშურ-გლეხური ხელისუფლების ამოცანას შეადგენს აღადგინოს მისი მეურნეობა ახალ საფუძვლებზე, აღამაღლოს ის კულტურულად, სათანადო დონეზე დააყენოს სასოფლო კოოპერაცია, დაამარტივოს და დაუახლოვოს საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ფართო გლეხთა მასებს, ებრძოლოს სოფლის სიბნელეს, უვიცობას და უკულტურობას.

როგორც ვხედავთ საქმე, რომელიც უნდა სისრულეში მოიყვანოს მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ მეტად დიდია და მისი შესრულება მოითხოვს წლებს.

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს სხვა და სხვა კრებებზე, პოლიტ-საათებზე და გაზეთის ფურცლებზედაც, რომ სოფლის ცხოვრების ახალ საფუძვლებზე მოწყობის საქმეში დიდი როლი და მნიშვნელობა აქვს დაკისრებული უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელს. წითელი-არმია თავის რიგებში ზრდის არა მარტო წითელ მეომარს, შეგნებულ და ერთგულ დამცველს საბჭოთა ხელისუფლების, არამედ აქტიურ საზოგადო მოღვაწესაც, რომელსაც ვალად აწევს ხელი შეუწყოს და დაუღალავი შრომა აწარმოოს მუშურ-გლეხური სახელმწიფოს აღსაყვავებლად. წითელმა ყაზარმამ ჩამორჩენილ სოფლიდან მოსულ გლეხს მისცა საშვალება, შეესწავლა წერა-კითხვა, დაწვრილებით გასცნობოდა საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობას, მის საგარეო და საშინაო პოლიტიკას, მის ამოცანებს მეურნეობის სფეროში.

უვადო შვებულებაში მიმავალი წითელ-არმიელი უბრუნდება თავის სოფელს, როგორც შეგნებული მოქალაქე საბჭოთა რესპუბლიკისა, რომელმაც თავის მხრივ უნდა გადასცეს მის მიერ შეძენილი ცოდნა ჩამორჩენილ გლეხობას, ხელი შეუწყოს და პირნათლად გაატაროს ყველა ის ამოცანები და ღონისძიებანი რომელიც დაისახა საბჭოთა მთავრობამ სოფლის აღორძინების მიზნით. ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ყოველივე ეს კარგად ესმით ჩვენ წითელ-არმიელებს.

მაგრამ ჩვენ გვინდა ერთი რამ გავახსენოთ წითელ-არმიელებს, მომავალ აღმშენებლებს ახალი სოფლისა.

ნუ გასწყვეტთ კავშირს წითელ-არმიასთან!

იქონიეთ კავშირი თქვენ გაზეთთან!

ჩვენ გაზეთსაც უძევს დიდი წილი წითელ-მოლაშქრეთა გათვითცნობიერების საქმეში. ამიტომ უვადო შვებულებაში მიმავალთა ზნეობრივ მოვალეობას შეადგენს იქონიოს კავშირი თავის მეგობარ და მასწავლებელ „წითელ-არმიელთან“. მოსწეროს მას, რა გააკეთა მან სოფლად, პირნათლად ასრულებს თუ არა თავის მოვალეობას და მართლებს იმ იმედებს, რომელსაც ამყარებდა მასზედ წითელი არმია და საბჭოთა ხელისუფლება.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ უვადო შვებულებაში მიმავალი წითელი-არმიელები არ დაივიწყებენ თავის საყვარელ გაზეთს „წითელ-არმიელს“ და იქონიებენ მჭიდრო, ცოცხალ კავშირს მასთან.

რადიო-დეპეშები

— პოლონეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის თანამშრომლები, რომლებიც აწარმოებდენ კონტრაბანდ საქონლებით ვაჭრობას საბჭოთა კავშირში, დაკავებულ იქნა ჩვენი ხელის უფლების მიერ. მათ აღმოაჩნდა მრავალი საქონელი, რომელიც მოდიოდა დელეგაციის მისამართით.

— 19 მარტს კარახანმა გაუგზავნა ჩინეთის მთავრობას პასუხი, რომ ხელმოწერილი შეთანხმება არ შეიძლება კვლავ განხილულ იქნას.

— ურალსკის გერმანიის მუშათა დამხმარე საგუბერნიო კომისიამ გაუგზავნა გერმანიის მუშებს 900 ფუთი პური და 1.000 ოქროს მანეთი.

რუსეთ-ჩინეთის კონფლიქტი.

ჩინეთის მთავრობა გაურბის პირდაპირ პასუხს.

18 მარტს ჩინეთის მთავრობამ გადასცა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს, ამხ. კარახანს ნოტა, რომელშიაც აღნიშნავს, რომ სამი დღის ვადა ერთობ მოკლეა შეთანხმების საკითხის გასარჩევად. ჩინეთის მთავრობის აზრით შეთანხმების საკითხი ხელახლად უნდა გაირჩეს.

19 მარტს კარახანმა უპასუხა, რომ ხელმოწერილი შეთანხმების ხელახლად გარჩევა შეუძლებელია.

ამხ. ჩიჩერინის საუბარი ჩინეთის წარმომადგენელთან მოსკოვში.

ლიაო-ძიამ, რომელიც იმყოფება მოსკოვში, როგორც ჩინეთის წარმომადგენელი და რომლის ოფიციალურ ფუნქციებს არ სცნობს ჩინეთის მთავრობისთან შეთანხმებამდი, ინახულა საგარეო საქმეთა კომისარი, ამხ. ჩიჩერინი. ჩიჩერინმა სთხოვა ლიაო-ძიას გაუგზავნოს დეპეშა ჩინეთის მთავრობას, რომ საკავშირო მთავრობა მეტად სერიოზულად უყურებს ამ გარემოებას, რომელიც შეიქმნა ჩინეთის მთავრობის მიერ უარის შემდეგ—ეცნო ხელმოწერილი ხელშეკრულება. ამ მტრულ „აქტს“ ჩინეთის მთავრობისა, შეიძლება მოჰყვეს სერიოზული შედეგები, რაშიაც პასუხისმგებლობა ეკისრება ჩინეთის მთავრობას.

ლიაო-ძიაოს ცდაზე გაარკვიონ არსებითად საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთს შორის ურთიერთობის საკითხი, ამხ. ჩიჩერინმა უპასუხა, რომ ხელმოწერილი ხელშეკრულება ცნობილ უნდა იქნას, და ხელმეორედ მისი გარჩევა შეუძლებელია. ჩინეთთან მოლაპარაკება სწარმოებს პეკინში, ამიტომ მოსკოვში მოლაპარაკებას არ ექნება ადგილი.

ჩინეთის საზოგადოებრივი აზრი მთავრობის მონურ პოლიტიკის წინააღმდეგია.

ჩინეთის საზოგადოებრივი აზრი აღელვებულია პეკინის მთავრობის მონური პოლიტიკით, რომელიც ბრმად ემორჩილება ეგრედ წოდებულ „უცხოელ მეგობრების“ რჩევას, რომლებიც ძალას ატანენ საბჭოთა კავშირთან შეთანხმების საკითხში.

საბჭოთა კავშირი

პრესის მიმოხილვა.

„დიპლომატიური ამანათი“.

პოლონეთის დელეგაციის თანამშრომლები უკანონობას სჩადიან.

21 მარტის ნომერ პრავდაში მოთავსებულია წერილი, რომელიც ეხება პოლონეთის დიპლომატიურ კურიერების და სხვა თანამშრომლების საქმიანობას. ისინი სარგებლობენ თავიანთ ოფიციალური მდგომარეობით და აწარმოებენ უკანონო სავაჭრო საქმიანობას საბჭოთა კავშირის საზღვრებში.

ამ დღეებში აღმოჩენილ იქნა კარგი მოწყობილი კამპანია, პოლონეთის დიპკურიერის—ვოსიანკოვის, პოლონეთის დელეგაციის სარეპატრიაციო საქმის მნეს—ვილშინსკის, საევაკუაციო დელეგაციის ექსპერტების—პოპროცკისა და ვერხბიცკის და დელეგაციის შოფერის კარპოვიჩ-ს მონაწილეობით.

14 მარტს მოსკოვში, ერთ-ერთ შავ ბირჟელის ბინის გაჩხრეკის დროს დაკავებულ იქნა აღნიშნული პირები. შემდეგ გამოირკვა, რომ იმათ დელეგაციის ავტომობილით ბინის პატრონს მიუტანეს კონტრაბანდი საქონელი—ვანილინი, 8 შალის კოფთა, 8 კომპლექტი აბრეშუმის თეთრეული, 4 ქალის აბრეშუმის პერანგი, 4 აბრეშუმის ჩეჩჩიკი და 24 წყვილი ქალის აბრეშუმის „ჩულქები“.

გამოძიებაზე გამოირკვა, რომ აღნიშნული საქონლები დიპკურიერებმა, მოიტანეს პოლონეთის დელეგაციის მისამართზე, დიპლომატიური ამანათის სახით. საქონელი გაყიდვამდი ინახებოდა სარეპატრიაციო დელეგაციის ბინაზე, რომელიც სარგებლობდა ექსტერიტორიალური უფლებებით.

ლენინის ნაწარმოები მისაწვდომი იქნება საბჭოთა კავშირის ყოველი მოქალაქისათვის

სახალხო განათლების კომისარიატმა მიანდო ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს გამოსცეს ლენინის ნაწარმოების სრული კრებული, ბიო-

ჩვენი საგარეო ვაჭრობა წინ მიიწევს.

ჩვენი საგარეო ვაჭრობის საქმე დიდის ნაყოფით მიიწევს წინ. როგორც ამხ. კრასინი იმოწმება საბჭოთა კავშირის პურმა უკვე საფუძვლიანად შეარყია თავისი კონკურენტების მდგომარეობა ევროპის ბაზარზე.

ოსმალეთი, ფინეთი და ბალტიის განაპირა მდებარე ქვეყნები სავსებით გადავიდენ რუსეთის პურზე.

დღემდის, როგორც აღნიშნავს ამხ. კრასინი, კაპიტალისტური ქვეყნები გულგრილად უყურებდენ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს. დღეს კი მათი დამოკიდებულება ამ ორგანოსადმი დიამეტრალურად შეიცვალა.

საგარეო ვაჭრობის კომისარიატი ამ ჟამად აწარმოებს დიდ სავაჭრო ოპერაციებს.

წინად, როდესაც ჩვენ არ ვიყავით ცნობილი, ჩვენი საგარეო ვაჭრობით დიდათ სარგებლობდნენ სხვა და სხვა შუამავალი ვაჭრები და სპეკულიანტები.

დღეს საგარეო ვაჭრობის კომისარიატი უშუალოდ აწარმოებს სავაჭრო მოლაპარაკებას უცხოეთის სხვა მსხვილ ფირმებთან და გვერდს უხვევს ყოველივე შუამავალ ვაჭრებს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ხსენებულმა „შუამავლებმა“, როდესაც მათ დაეკარგათ მოგების წყარო, ასტეხეს ერთი განგაში და აურ-ზაური შესახებ იმის, რომ თითქოს რუსეთის პური არ ვარგა და საგარეო ვაჭრობის კომისარიატი ვერ შესძლებს აღებულ დაკვეთების თავის დროზე დაკმაყოფილებასო.

მაგრამ მათი ხრიკები და ჭორები ჰაერში დარჩა გამოკიდული.

საბჭოთა კავშირის პურმა თავისი მაღალი ხარისხით და შედარებით იაფ ფასით, არამც თუ დაკარგა მის მიერ მოპოებული ბაზარი, პირიქით დღითი დღე აფართოებს მას და დიდ საფრთხეს უქადის ამერიკის პურს.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენად ჩვენ კეთილ სინიდისიერად ვასრულებთ ყოველგვარ სავაჭრო ხელშეკრულებას, ამას მოწმობს ის ნდობა, რომლითაც სარგებლობს ჩვენი საგარეო ვაჭრობის კომისარიატი მსხვილი კაპიტალისტურ დაწესებულებებთან.

გარდა პურისა ძლიერ გაიზარდა სატყეო მასალის ექსპორტი, აგრეთვე ნავთისაც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პურის საექსპორტო პროგრამა სავსებით იქნება სისრულეში მოყვანილი.

ასე ამ რიგად საბჭოთა კავშირის ექსპორტი დღითი დღე იზრდება და სწრაფი ნაბიჯით მიიწევს წინ.

„საგარეო ვაჭრობის მონოპოლია“, ამბობს ამხ. კრასინი,—„არის ერთად ერთი სწორი პოლიტიკა, რომელიც ნებას გვაძლევს გავიტანოთ მხოლოდ ის, რაც ჩვენთვის ზედმეტია და შემოვიტანოთ ის, რასაც ჩვენ არ აწარმოებთ და ჩვენთვის დიდ საჭიროებას წარმოადგენს“.

გრაფია მოზრდილთა და მოწაფეთათვის, და მხატრულად დასურათებული კრებული—ეროვნულ უმცირესობათა ენებზე, მათ რიცხვში თათრულზედაც.

სწორი გზით.

ამხ. კრასინი ჩვენი საგარეო-ვაჭრობის შესახებ.

პარტიულ კრებაზე ამხ. კრასინმა მოხსენებაში საგარეო ვაჭრობის შესახებ განაცხადა, რომ დასავლეთი ევროპა, რომელიც წინათ ალმაცერად უყურებდა ჩვენს საგარეო ვაჭრობას, დღეს სრულიად გამოიცვალა შეხედულება.

საგარეო ვაჭრობის კომისარიატი ერთ-ერთი მსხვილი მყიდველი და გამყიდველია დასავლეთ ბაზარზე. იგრძნეს რა საბჭოთა კავშირის ძლიერება, ბურჟუაზიული ქვეყნები მიდიან საკმაო დათმობაზე. ასე მაგალითად, ინგლისმა ეხლახან თანხმობა განაცხადა მიიღოს მსხვილი დაკვეთები მანქანებზე 7 წლის განმავლობაში გადახდის პირობებში. ინგლისის ქარხნის დირექტორმა მოაწერა ხელი ხელშეკრულებას, მიუთითა საბჭოთა ხელისუფლებას, რომ ვერც ერთი ინგლისის კერძო ფირმა, ან კოლონია ვერ მიიღებდა ასეთ ხელსაყრელ პირობებს. საბჭოთა წარმომადგენელმა უპასუხა: „ეს სამართლიანია, ვინაიდან საბჭოთა კავშირი არ არის ინგლისის კოლონია“ (მხურვალე ტაში).

„საბჭოთა ხორბალი, ნავთი და ტყე—სთქვა ამხ. კრასინმა—გადამჭრელი ფაქტორები იყვნენ საბჭოთა კავშირის ცნობის საქმეში. ჩვენი საგარეო ვაჭრობა თავის სავაჭრო ოპერაციებში გაურბის ყოველგვარ შუამავლებს.

უცხოელი ვაჭრები და შუამავლები, რომლებიც მდიდრდებოდენ რუსეთთან ვაჭრობაზე, ამხედრდენ ჩვენი საგარეო ვაჭრობის წინაამდეგ და მიუთითებდენ, რომ თითქოს საბჭოთა პური უვარგისი იყოს საჭმელად. ყველა ეს ჭორები, რა თქმა უნდა, დამარცხებულია თვით ჩვენი პურით, რომლის ხარისხი გაკვირვებას იწვევს უცხოელ ვაჭრებში“.

ამხ. კრასინმა აღნიშნა, რომ საგარეო ვაჭრობის მონოპოლია წარმოადგენს ერთად-ერთ სწორ პოლიტიკას, რომელიც ნებას გვაძლევს გავზიდოთ, რაც ჩვენთვის ზედმეტია და შემოვიტანოთ ის, რაც ჩვენ არა გვაქვს.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

ინგლისი.

სინგაპურის საზღვაო ბაზის მოწყობა.

მაკდონალდმა პარლამენტში განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა უარი სთქვას სინგაპურის საზღვაო ბაზის მოსაწყობ მუშაობაზე, ვინაიდან ის „დარწმუნებულია, რომ შემდეგი განხორციელება ამ პროექტისა დამღუპველი იქნებოდა ინგლისის საერთო საზოგადო პოლიტიკისა. კანადისა და ირლანდიის წარმომადგენლებმა თავი შეიკავეს თავისი შეხედულების გამოთქმისაგან ამ საკითხში. ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს სინგაპურის საზღვაო ბაზის მოწყობის გაგრძელებას, ხოლო აფრიკის პრემიერმა სმუტომ დაეთანხმა მაკდონალდის წინადადებას.

საზღვაო უწყების ბიუჯეტის საკითხის დროს, ლიბერალებს მისცეს შეკითხვა, რომ ფიქრობენ თუ არა ისინი მხარი დაუჭირონ მთავრობას, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ სინგაპურის პროექტის სასტიკ მოწინააღმდეგე.

ინდოეთი.

საბიუჯეტო კანონ-პროექტის გარშემო.

ინდოეთის საკანონმდებლო კრებამ ხელმეორედ უარყო საბიუჯეტო კანონ-პროექტი. ფიქრობენ, რომ ვიცე კაროლი ისარგებლებს უფლებით, რომელიც მიენიჭა მას კონსტიტუციით, და გაატარებს კანონპროექტს ადმინისტრატიული გზით.

ქ. მ. დივიზიის პარტ-ორგანიზაციების დღევანდელი მდგომარეობა

13 მარტს პოლიტ-განყოფილების მიერ მოწვეულ იქნა ქ. ტფილისის გარნიზონში მყოფი ქ. მ. დ. ნაწილების პარტ-ორგანიზაციების მდივნების და პრეზიდიუმის წევრთა თათბირი, სადაც მოხსენებით გამოვიდნენ გარნიზონში მყოფ ყველა ნაწილების კომუჯრედის მდივნები.

პოლიტ-განიდან პარტ-აღმშენობლობითი ქ. განყოფილების უფროსი და პარტ-კომისიის მდივანი, რომლებიც შეეხენ დღევანდელ პარტ-ორგანიზაციების მდგომარეობას და პარტ-მუშაობის მიმდინარეობას, რომელსაც სათავეში უდგანან ათასეულის ფარგლებში ჩამოყალიბებულ კომუჯრედების რეორგანიზაციის შემდეგ.

ასეულის კომუჯრედები, რომლებმაც ახალ წლის დასაწყისთან ერთად აიდგეს ფეხი განამტკიცეს თავისი მცირე რიცხოვანი რიგები დაამოძრავეს მთელი თავისი ძალები პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობის გასაჩაღებლათ. მათ წინაშე დღიდან მათი ჩამოყალიბებისა წამოჭრილია მთავარი და დამკვრელი ამოცანა.

„მასებში“ ამ მხრივ გადადგმულ ნაბიჯებმა გამოიღო სასურველი ნაყოფი და დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ უპარტიო წითელ-არმიელთა მასა, რომელიც ჩამოშორებული იყო პარტიულ-ორგანიზაციებს, დღეს დაუახლოვდნენ მათ. ამაში მთავარი ღვაწლი მიუძღვის ისევ ჩვენს ასეულის კომუჯრედებს, რომლებიც სისტემატიურათ ახდენენ ღია კომუჯრედის კრებებს და უპარტიო ამხანაგების დასწრებაც ასეთ კრებებზე 40-50 პროც. აღწევს.

ეს ყველა თავდებია იმის, რომ უპარტიო მასა თავისი ნების მყოფის გამომხატველი კომუნისტური ორგანიზაციებში ჰპოვა, სადაც ისინი მიდიან მათთან ყოველი საკითხის გასაცნობათ და შესასწავლათ.

ჩვენი ორგანიზაციები არ ივიწყებენ თავის წევრებს. ყველა ამხანაგები ერთნაირათ არიან ჩართული პარტიულ მუშაობაში, გატარებულია პერსონალური მიმაგრება უპარტიო ამხანაგებთან, რა საკითხიც კიდევ ითხოვს მეტ ყურადღებას ზოგიერთ პარტ ორგანიზაციების მხრივ. გადადგმულ ნაბიჯებმა სასურველი ნაყოფი გამოიღო და გაძლიერა.—

პარტიისადმი ლტოლვა, რასაც ადგილობრივი პარტ-ორგანიზაციები ყურადღებით ხვდებიან და ყოველი ის ამხანაგი, რომელიც თავისი მსოფლმხედველობით და სოციალურ მდგომარეობით ახლო სდგანან კომუნისტურ პარტიასთან, მათთვის ჩვენი ორგანიზაციების კარები ღია, რასაც ამტკიცებს პარტ-კომისიის ოქმები.

იანვრის თვიდან პარტ-კომისიამ შემოსულ განცხადებებიდან მხოლოდ 60 პროც. მიიღო კანდიდატათ და დანარჩენებს-კი უარი ეთქვა.

თათბირმა 4 დღის მუშაობით ნათლათ დაგვანახვა ის ნაყოფიერი მუშაობა ჩვენი ორგანიზაციებისა, რომელნიც დღითი-დღე ძლიერდებიან და თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავთ პროლეტარული მასა. აქვე ხაზ გასმით აღნიშნული იყო ყველა ის ნაკლი რასაც ადგილი ჰქონდა წარსულში, რათა მომავალში ეს აცილებული იქმნას. თათბირის მიერ პარტ-მუშაობის უფრო განსამტკიცებლათ გამოტანილ იქმნა ერთ ხმად შემდეგი რეზოლიუცია:

(რეზოლიუცია მოყვანილი იქნება შემდეგ №).

ბერიძე.

ბესარაბიის საკითხი.

(რუსეთ-რუმინეთის კონფერენციის გამო).

მკითხველებმა დეპეშებიდან იციან, რომ უკანასკნელ დღეებში ბესარაბიის საკითხს დიდი ყურადღება ექცევა. ყოველ დღე ვკითხულობთ გაზეთებში მრავალ ცნობებს, სადაც ლაპარაკია, რომ ბესარაბია რუსეთის განუყოფელი ნაწილია და რომ ის (ბესარაბია) უნდა განთავისუფლდეს რუმინეთის ბოიარების ბატონობისაგან და ხალხს მიეცეს უფლება საკუთარ ბედის გადაწყვეტის პლებისციტის სახით და სხ.

რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ბესარაბიის საკითხზე ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ.

ამ დღეებში გაიხსნება რუსეთ-რუმინეთის კონფერენცია ავსტრიაში, ქ. ვენაში. იქ განიხილავენ რუსეთ-რუმინეთის დამოკიდებულების საკითხებს. რა თქმა უნდა პირველ რიგში წამოიჭრება ბესარაბიის საკითხი. თუმცა რუმინეთის მთავრობას ეს საკითხი გადაჭრილად მიაჩნდა და მასზედ ლაპარაკი არ სურს, მაგრამ გარემოება, რომ ამ საკითხს 150 წლის ისტორია აქვს და უკანასკნელ ხანებში მეტად გამწვავდა ბესარაბიის საკითხი—გვაფიქრებინებს, რომ ბესარაბიის საკითხი, ცენტრალური საკითხი იქნება კონფერენციის დღის წესრიგში და დიდ დავას გამოიწვევს.

როგორც ზემოთ ვთქვით, ბესარაბიის საკითხს დიდი ხნის ისტორია აქვს. იმპერიალისტურ ომამდისაც მეფის რუსეთსა და რუმინეთს შორის არსებობდა უთანხმოება საზღვრების ირგვლივ. თუმცა მეფის რუსეთის იმპერიალისტურ ზრახვებსა და საბჭოთა მთავრობის მშვიდობიან მისწრაფებათა შორის არავითარი საერთო არა არის რა, მაგრამ მაინც საინტერესოა როგორ იდგა ბესარაბიის საკითხი წინათ.

ბესარაბია მტკიცედ იყო თავიდანვე დაკავშირებული რუსეთთან და არა რუმინეთთან, ას წლის განმავლობაში, ცოტა გამონაკლისით. ბესარაბია რუსეთის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა. 1812 წ. ბუქარესტის ხელშეკრულების ძალით ბესარაბია შეუერთდა რუსეთს, და ეს იმ დროს მოხდა, როცა რუმინეთი არც კი არსებობდა. 1878 წლის ომის შემდეგ, ბერლინის კონგრესმა განსაზღვრა რუსეთ-რუმინეთის საზღვრები; რუმინეთს მიეცა დობრუჯი, ბესარაბია კი რუსეთის ნაწილად შეიქმნა. ასეთ შეთანხმების შემდეგ რუსეთმა იცნო რუმინეთი როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და რუმინეთს შორის დაიდვა საზღვარი.

საზღვრად არჩეულ იქმნა მდ. პრუტი. მაგრამ, რომ არც ერთი მხარე არ დარჩენილიყო შეურაცყოფილი მდ. პრუტი კალაპოტი გაყვეს ორ ნაწილად, შუაში „გაავლეს“ ხაზი, ამ ხაზის მარცხენა მხარე ეკუთვნოდა რუსეთს, მარჯვენა კი რუმინეთს, მაგრამ ასეთი საზღვარი უვარგისი გამოდგა. ადიდების დროს მდინარე იცვლიდა თავის კალაპოტს და ამგვარად საზღვრებიც იცვლებოდა. რუსეთის სოფელი მიექცეოდა მდინარის მარჯვენა ნაპირზე და ის რუმინეთს ხვდებოდა და პირიქით ასეთი მდგომარეობა დიდ ხანს გაგრძელდა. მხოლოდ 1914 წლის დასაწყისში შეიკრიბენ ორივე სახელმწიფოთა წარმომადგენლები საზღვრების მოსაგვარებლად, მაგრამ მუშაობა მიმდინარეობდა, როდესაც დაიწყო იმპერიალისტური ომი და რუსეთ-რუმინეთის საზღვრების საკითხი კვლავ მოუგვარებელი დარჩა.

ამის შემდეგ განვლო დრომ. რუსეთში მოხდა უდიდესი გადატრიალება. ძალა-უფლება მუშათა კლასმა აიღო ხელში. ძველი მთავრობის ყოველ-გვარი ხელშეკრულებანი გააუქმა ოქტომბრის რევოლიუციამ. ახალმა რესპუბლიკამ ახალ საფუძვლებზე დაიწყო ცხოვრება. რუსეთში გამეფდა სამოქალაქო ომი. რუმინეთმა ისარგებლა რა რუსეთის ასეთ მდგომარეობით, 1918 წ. დაიკავა ბესარაბია. საბჭოთა მთავრობის მაშინდელ პროტესტს რუმინეთის ასეთ ნაბიჯის გამო, თითქმის ყურადღება არავინ მიაქცია. მაგრამ რუმინეთმა და მისმა ბატონ-პატრონმა საფრანგეთმა განაცხადეს, რომ ბესარაბიის დაკავებას დროული ხასიათი აქვს და ის შესაფერ დროს დატოვებული იქნება რუმინეთის მიერ. მიუხედავათ ასეთი განცხადებისა ბესარაბია დღესაც რუმინეთს უკავია და საფრანგეთის პარლამენტმა რამოდენიმე დღის უკან დაადასტურა ბესარაბიის შეერთება რუმინეთისადმი.

საბჭოთა მთავრობასა და რუმინეთს შორის რამოდენიმეჯერ გაიმართა მოლაპარაკება ბესარაბიის შესახებ. მაგრამ ყოველთვის გაურბოდა რუმინეთი საკითხის გადაჭრას და ცდილობდა იარაღით დაპყრობილი ბესარაბია შეენარჩუნებია.

პირველად ეს საკითხი ირჩეოდა რუმინეთის და საბჭოთა მთავრობის კონფერენციაზე ვარშავაში 1921 წლის სექტემბერში. პირველად რუმინეთის დელეგაცია უარს ამბობდა ბესარაბიის საკითხის განხილვაზე, მაგრაგა საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლის ამხ. კარახანის პროტესტის შემდეგ, რუმინეთის დელეგაციის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ბესარაბიის დაკავება გამოწვეულია თვით ხალხის მოთხოვნითო. ამხ. კარახანმა გაილაშქრა ბესარაბიის ძალით დაკავების წინააღმდეგ და მოითხოვა პლებისციტი (მცხოვრებთა დაკითხვა). კონფერენცია უშედეგოთ დამთავრდა. ამის შემდეგ საბჭოთა ტერიტორიაზე რუმინეთიდან ჩანდების თავდასხმა არ შეწყვეტილა. საბჭოთა მთავრობამ მოითხოვა რუმინეთს მოეგვარებიათ შექმნილი მდგომარეობა მდ. დნესტრიდან სამხედრო გემების გაყვანით და მოლაპარაკების დაწყებით. დელეგაციები შეიკრიბენ, მაგრამ რუმინეთის დელეგაციამ უარი განაცხადა დნესტრიდან სამხედრო გემების გაყვანაზე. მიუხედავათ საბჭოთა დელეგაციის დათმობისა, შეთანხმებას ვერ მიაღწიეს და ეს მოლაპარაკებაც უშედეგოთ დამთავრდა. ამის შემდეგ შედგა ორი კონფერენციები. მუშაობას აჭიანურებდა რუმინეთი და ცდილობდა სავაჭრო ხელშეკრულების დადების საკითხი არ განეხილათ სრულიადა. საბჭოთა დელეგაცია კი დაჟინებით მოითხოვდა სავაჭრო დამოკიდებულების საკითხის განხილვას. რუმინეთის დელეგაციის უარის თქმის შემდეგ საბჭოთა დელეგაცია იძულებული იყო გამოსულიყო დეკლარაციით 1923 წ. 31 დეკამბერს, რომელშიაც ნათქვამია, რომ რუმინეთის დელეგაციის უარის თქმის შემდეგ სავაჭრო დამოკიდებულების საკითხის განხილვაზე, კონფერენციის მუშაობას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

ეს კონფერენციაც ჩაიშალა. რუმინეთმა მოლაპარაკების გასაგრძელებლათ დანიშნა ქ. ზალცბურგი. საბჭოთა მთავრობა არ დათანხმდა აღნიშნულ ადგილზე და წინადადება მისცა ოდესაში მოეწვიათ კონფერენცია. რუმინეთმა თავის მხრივ ვარშავა წამოაყენა, მაგრამ მოლაპარაკების შემდეგ ორივე მხარე შეთანხმდენ კონფერენციის გამართვაზე ქ. ვენაში.

ამგვარად ჩვენ ვენის კონფერენციის წინაშე ვდგევართ. შესძლებს კონფერენცია ბესარაბიის საკითხის გადაჭრას? ძალიან საეჭვოა. საფრანგეთის იმპერიალისტებით გათამამებული რუმინეთი უთუოდ შეეცდება კონფერენციაზე ბესარაბიის საკითხის ან სრულებით არ დასმას, ან და თავის სასარგებლოთ გადაწყვეტას ე. ი. ბესარაბიას ის გამოაცხადებს თავის ტერიტორიის განუყოფელ ნაწილად. რუმინეთის ასეთ საქციელს წინ აღუდგება საბჭოთა დელეგაცია, რომელიც მოითხოვს ბესარაბიის განთავისუფლებას რუმინეთის ხიშტებისაგან და ხალხის თვით გამორკვევას. ბესარაბია ეკონომიურად, გეოგრაფიულად და მცხოვრებთა შემადგენლობით საბჭოთა კავშირის განუყრელი ნაწილია. საბჭოთა კავშირთან შეერთებას და საბჭოთა ძალა-უფლების დამყარებას ბესარაბიის მცხოვრებლები დიდი ხანია მოითხოვენ. უკანასკნელ დღეებში კი ისინი აწყობენ მიტინგებს და დემონსტრაციებს, სადაც გამოაქვთ რეზოლიუციები რუმინეთის მონობისაგან განთავისუფლების და საბჭოთა კავშირთან შეერთების შესახებ. ყველაფერი ეს იცის საბჭოთა დელეგაციამ და ის ბესარაბიის მშრომელთა სურვილისამებრ მოითხოვს, რომ ბესარაბიის მშრომელთ უფლება მიეცეს თავის ბედის გადაწყვეტის.

საბჭოთა კავშირი უკვე ცნობილია მთელ რიგ დიდ სახელმწიფოების მიერ და პატარა რუმინეთი, როგორ იმედებსაც არ უნდა აძლევდეს მას პუანკარე, ადრე თუ გვიან იძულებული იქნება ანგარიში გაუწიოს საბჭოთა მთავრობის სამართლიან მოთხოვნილებებს.

საბჭოთა მთავრობას სურს მშვიდობიანი განწყობილება ყველა სახელმწიფოებთან. მაგრამ თავის მიწა-წყალს ის არავის არ დაუთმობს.

ზეფირ.

ჩვენი წითელი კარი

შთაბეჭდილება ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურზედ დათვალიერების დროს.

(ექსკურსიიდან).

დილის რვა საათია. № სკოლის წითელ არმიელები შეგროვილან ლენინის კუთხეში და ბაასობენ სხვა და სხვა საკითხებზედ. არ გაუვლია 70 წუთს რომ მოვიდა პოლიტხელი და ეკითხება მათ:

— აბა, მითხარით, ვინ იყო გუშინ ავჭალაში ექსკურსიაზედ?

— მე ვიყავი, მე ვიყავი—იყო ხმები.

— რა ნახეთ ღირს შესანიშნავი ჰკითხა ერთ კურსანტს, რომელსაც ხელში რვეული უკავა და ზანტად ათვალიერებდა.

— ჩვენ სხვა წითელ არმიელებთან ერთად წავედით ცხენებით,—დაიწყო ერთმა კურსანტმა,—რომელსაც მეთაურობდა ამხანაგი აბრამიშვილი; ამინდი კარგი იყო მოგზაურობის დროს ვეცნობოდით სხვა და სხვა ისტორიულ ნაშთებს, რომ მიუახლოვდით ჰიდრო-ელექტრო სადგურის ა‑ხს ამხ. აბრამიაშვილმა გაგვაცნო რომ აქ უნდა აშენდეს მთავარი სადგური. სრულიათ რომ დამთავრდება მას ექნება 18 ათასი ცხენის ძალა, რომელიც გაანათებს ოთხმოცი ვერსის ირგვლივ. თუ როგორ უნდა მოიპოვონ ამდენი ენერგია ამაზე ამხ. დაგვპირდა შემდეგ აეხსნა. და გაუდექით მცხეთის მიმართულებით. ჩასვლისთანავე დავაბით ცხენები და გავემგზავრეთ ელექტრო სადგურის დასათვალიერებლათ, სადაც აგვ-ხსნეს მატორის მნიშვნელობა. შემდეგ წავედით არხის სათავის დასათვალიერებლათ.

— როგორ უნდა გადმოიყვანონ ამოდენა მტკვარი არხში,—შეეკითხა გვერდში მჯდომი ამხანაგი მეორეს, რომელიც კიდევ ვერ გამო‑კვეულიყო ამ საკითხში.

— მტკვარი კი არა ზღვას აშრობენ, ამხანაგო, და შიგ ხიდები გაყავთ მტკვარი რომ არხში გადაიყვანონ დიდი საქმეა?

— გასცა პასუხი მეორემ.

— აი ამ არხში იქნება გადმოყვანილი მტკვარი,—განაგრძო პირველმა, სანამდი არხში მდინარე გადმოვიდოდეს, მოხდება მდინარის შეგუბება, ტბას სიმაღლე ექნება 6 საჟენი და რამოდენიმე დესეტინა სივრცე, ამ ტბის გამსებას მტკვარი მოუნდება სამი დღე და სამი ღამე. ამ ხნის განმავლობაში თბილისში წყალის დენა შეწყვეტილი იქნება.

- როგორ, ეს ვებერთელა მტკვარი სამი დღე და ღამე დაშრება?

— დიახ, შეწყდებაო—ასე აგვიხსნეს.

— უჰ! ბიჭო, რამდენ თევზებს დავიჭერთ—გაეხუმრა მეორე.

— ტეხნიკაა, ამხანაგებო, ტეხნიკა! მენშევიკების დროს რომ მარტო ცარცვა გლეჯას ადგენ ისე ნუ კი გონიათ, ეხლა აღმშენებლობის ნიადაგზედ ვართ, თვით მშრომელი მასა მართავს სახელმწიფოს.

— ნეტავ მეც წავსულიყავი ექსკურსიაზედ—გულ დაწყვეტით წარმოსთქვა მორიგემ, რომელსაც სამსახურის გამო არ შეეძლო წასვლა.

დ. ჰანკველაძე.

ცოტა რამ მე-3-ე ქართულ ლეგიონზე.

ახლოვდება 1901 წ. დაბად. წითელ არმიელთა დემობილიზაციის დრო.

არმიელებს ემჩნევათ გამხნევება, რასაც ამტკიცებს მათი არა ჩვეულებრივი გულის ყური და ენერგია ყოველგვარ მეცადინეობისადმი. ამ უკანასკნელთ წითელ არმიელებს უფრო აინტერესებთ აგრონომიული და პოლიტიკური ხასიათის მეცადინეობა, რასაც ისინი სიამოვნებით ისმენენ.

სამწყობრო მეცადინეობა უკვე შეწყვეტილია ლეგიონში, მაგრამ სამაგიეროთ გახურებულია არა ჩვეულებრივად კლუბის მუშაობა. კლუბის განკარგულებაშია 3 საათი და ეს საათები ისე აქვს განაწილებული კლუბის გამგეობას, რომ ყოველ დღე სწარმოებს ასეულებში სამ-სამი საათი სხვადასხვა საგნებზე მეცადინეობა, რაც უფრო მეტ შთაბეჭდილებას ახდენს წითელ-არმიელებზე. უმთავრესი ყურადღება მიქცეულია კლუბის მიერ შემდეგ თემებზე:

აგრონომიულზე, პოლიტიკურზე და ლიტერატურაზე, რაც უფრო მეტათ აინტერესებთ წითელ არმიელებს. წრეების მეცადინეობა იღებს მასსიურ ხასიათს, რადგანაც წრეების წევრებზე მეტათ, თავს იყრიან სხვა წითელ არმიელნი და გულმოდგინეთ უსმენენ ხელმძღვანელს. 12 მარტს თებერვლის რევოლიუციის 7 წლის თავის აღსანიშნავად მე-2-რე ათასეულში გაიმართა მიტინგი, მოხსენება გააკეთა ამხ. სამხკომმა ჯანგველაძემ, რომელიც ნათლად შეეხო აღნიშნულ დღესასწაულის მნიშვნელობას. მის შემდეგ ილაპარაკა მე-5 ასეულის პოლიტ-ხელმა ამხ. გეგიამ. ორივე ორატორებს კრება მხურვალე ტაშით შეხვდა. მიტინგის შემდეგ დადგმულ იქმნა წარმოდგენა რევოლიუციონურ ხასიათისა.

16 მარტს წარმოდგენა ჩატარდა 1 და 2 ტყვია ფრქვევლების ჯგუფებში შეერთებულათ, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რევოლიუციონურმა პიესამ „დეზერტირ“-მა, ეპიზოდი რუსეთის სამოქალაქო ომიდან. ასეთი წარმოდგენები იდგმება ლეგიონის დრამ წრის მიერ სხვა ასეულებშიაც.

წითელ არმიელებს საკმარისად აქვს ლიტერატურა. ყოველ დღე ლენინის კუთხეებში ტარდება ხმა მაღალი კითხვა, მოგონებანი და თამაში, რომელნიც უფრო ხელს უწყობენ წითელ არმიელების განვითარებას.

18 მარტს პარიზის კომუნის დღის აღსანიშნავად, ასეულებში შესდგა საზეიმო კრებები, კლუბის მიერ გამოშვებულ იქმნა სათანადო პლაკატები და ლოზუნგები. იმედია, რომ წითელ არმიელი დაბრუნდება სახლში დემობილიზაციის შემდეგ საჭირო ცოდნით. ყველა წითელ არმიელი უნდა გახდეს აქტიური წევრი საბჭოთა ხელისუფლებისა, მისი ინტერესების დაცვაში. და რა მივა სახლში, არ უნდა დაჯდეს გულხელ დაკრეფილი, არამედ თავისი ცოდნა უნდა გაუზიაროს სოფელში მეზობლებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ მოუშორებიათ ძველი დამყაყებული ზნე ჩვეულება. ლეგიონში დაარსებულია კომისია, რომელიც იმუშავებს დემობილიზაციით დათხოვნილ წით. არმიელთა გამგზავრების და ახალ წითელ არმიელთა დახვედრის წესს.

ნ. მელიქიძე.

საარტილერიო პარკში.

1924 წელს 8 მარტს საარტილერიო პარკში ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად შესდგა პარკის პირად შემადგენლობის კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. გ. აბაშიძე და მდივნობდა დანდუროვი. დღის წესრიგში იყო მხოლოდ ერთი კითხვა „ქალთა დღესასწაულის 8 მარტის მნიშვნელობა“.

მოხსენებას აკეთებს ამის შესახებ სამხკომი ამხ. კვირიკაძე, რომელიც ფართოთ ახასიათებს ამ დღის მნიშვნელობას, ის აღნიშნავს საბჭოთა მთავრობის საქმიანობას ქალთა განთავისუფლების საქმეში, ის უსურვებს გამარჯვებას 8 მარტს, უსურვებს გამარჯვებას მე-3-მე კომინტერნს, რომელმაც ჩაუდგა სათავეში ამ დიდ იდეის განხორციელების საქმეს. თანამომხსენებლად გამოდის პარკ. უფრ. თანაშემწე ამხ. ჯაფარიძე და მასწავლებელი ჩხიკვიშვილი. მომხსენებლები აღნიშნავენ 8 მარტის მნიშვნელობას, და ეხებიან აგრეთვე ქალთა მდგომარეობას რეაქციის დროს და ეხლა. მომხსენებების გათავების შემდეგ მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია:

გაუმარჯოს საერთაშორისო ქალთა განთავისუფლების დღეს 8 მარტს.

გაუმარჯოს მშრომელი ხალხის სულსა და გულს ამხ. ლენინს.

გაუმარჯოს მე-3-მე კომინტერნის შტაბს დასასრულს ოვაციები და ინტერნაციონალი.

სამხკორი ბ. **ჩხიკვიშვილი.**

ცალკე საგაუბიცო ბატარეიაში.

18 მარტი პარიზის კომუნის დღე ბატარეიამ მწყობრად ჩაატარა.

1-ლ საათზე სოფ. ხაშმში, რომელიც ჩვენი კულტშეფობის ქვეშ იმყოფება ჩვენივე თაოსნობით გაიმართა მიტინგი.

მოხსენება „პარიზის კომუნა“-ზე გააკეთა ამხ. ტაბუცაძემ, რომელმაც დამსწრე გლეხებს მარტივად გადასცა კომუნის ისტორია.

მოხსენების შემდეგ ილაპარაკეს ადგილობრივ გლეხებმა, აღმასკომის თავმჯდომარემ და ბატარეის უფროსმა. მიტინგს დაესწრო 300-დე გლეხები. გამოტანილ იქნა შესაფერი რეზოლიუცია. საღამოს ბატარეის კლუბში გაიმართა საღამო-წარმოდგენა-მიტინგი, რომელსაც დაესწრო სოფ. უჯარმის, მუხროვანის გლეხები და ბატარეის მთელი შემადგენლობა.

მოხსენება ზემოაღნიშნულ თემაზე გააკეთა ბატარეის სამხკომმა ამხ. ტაბუცაძემ. თანამომხსენებლად გამოვიდა გარე-კახეთის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. რუხაძე. მოხსენებების შემდეგ ილაპარაკეს სოფლის გლეხების წარმომადგენლებმა.

მიტინგის შემდეგ გაიმართა წარმოდგენა. როგორც მიტინგს ისე წარმოდგენას ხალხი ბევრი დაესწრო და 11 საათზე ნასიამოვნები დაიშალა.

ყუმბარა.

ჩვენი კედლის გაზეთები.

„წითელი დროშა“ № 13.

(ცალ. საკავ. ასეულ. ყოვ.-კვირ. კედ. გაზეთი).

მიძღვნილია 8 და 12 მარტის დღესასწაულებზე.

ეს ნომერი უკვე გამოკეთებულია როგორც ქაღალდის, ისე ხელნაწერის მხრივ. წერილებია მოკლე და ლამაზი ენით ნაწერი. „8 მარტი“—მიშიკოსი, „12 მარტი“—იანოვისა, „ახალი ხანა“—სევდიანისა. პირველი აშუქებს საერთაშორისო ქალთა დღესასწაულს, ორი უკანასკნელი-კი თებერვლის რევოლიუციას. შემდეგ მიდის პატარა ლექსები: ჯ-ძესი, ნ-სი და ჩხიკვიშვილისა, ბოლოს მიდის ენა-წყლიანი და მოხდენილი იუმორი, სადაც წითელ არმიელები შესანიშნავ საოხუნჯო ნიჭს იჩენენ.

სურათები—გარდა სათაური სურათისა (ამაყად მოფრიალე წითელი დროშის ქვეშ მომუშავე მეელსმენე, რომელიც მთელი მსოფლიოსთან ლაპარაკობს) არაა და ეს ნაკლიც, რომ გამოასწორონ გამომცემლებმა—კარგს იზამდენ. სურათები აუცილებელია. გარდა ამისა გაზეთის თითქმის ნახევარი იუმორს უჭირავს, რაც აუცილებლად უნდა გამოასწორონ.

სანი.

კომუნისტური ნათლობა.

25 თებერვალს ჩვენს კლუბში მრავალი წითელ არმიელების და ახლობელ სოფლის მცხოვრებთათანდასწრებით პირველად ჩვენს ნაწილში გაიმართა კომუნისტური ნათლობა.

მოსანათლი იყო ჩვენი კლუბის უფროსის ამხ. სტეფანოვის ვაჟიშვილი.

ამხ. კუჭუხიძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო კომუნისტურ ნათლობის მნიშვნელობა.

მასთან ამხ. კუჭუხიძემ აღნიშნა, თუ როგორ ხდებოდა მღვდლების მიერ ბავშვის მონათვლა და როგორ აძრობდენ მღვდლები, ისედაც გაღატაკებულ ხალხს, ტყავს სანათლავი ფულის გადახდევინებით. და ამნაირი შემოსავლით განცხრომით სცხოვრობდენ იმ დროს, როდესაც გლეხი სიბნელეში და სიღარიბეში იმყოფებოდა.

დასასრულს ამხანაგმა მოუწოდა წითელ არმიელებს და დამსწრე საზოგადოებას რათა უარყონ ყოველივე ცრუმორწმუნეობა და ძველი ზნე-ჩვეულება, რომელიც გამადატაკებელია მშრომელი ხალხის და შეგნებულად შეხვდენ ახლათ შემოღებულ კომუნისტურ ნათლობას. ამხანაგის სიტყვები მქუხარე ტაშმა დაჰფარა.

8 საათზე ფარდა აიხადა და სცენაზე გამოჩნდა ამხ. სტეფანოვი თავისი 5 წლის ვაჟი შვილით, რომელიც მიმართავს დამსწრე ამხანაგებს შემდეგი სიტყვებით:

ეს ყმაწვილი შემეძინა მე ახალ ხანაში, რომელმაც უნდა იცხოვროს თანახმად ახალი წყობილებისა. მე როგორც მამა და მისი სიცოცხლის მიმნიჭებელი ვალდებულად ვრაცხ თავს აღვზარდო ის კომუნისტურად და შთაუნერგო მას მშრომელი ხალხის სიყვარული.

მამის გულ-წრფელი სიტყვები მქუხარე ტაშმა დაჰფარა.

კ—ლი

პარტიული ცხოვრება

პარ-მუშაობა მე-3-ე ლეგიონში.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ათასეულების კომუჯრედები დაიშალა და გადაკეთებულ იქნა ასეულის კომუჯრედებათ.

13 იანვარს მოხდა 5-თე ასეულის და უმწყობრო ასეულის პარტ. ამხ. კრება, სადაც არსდება მეოთხე კომუჯრედი. ამის შემდეგ კომუჯრედს ჰქონდა სულ ოთხი ღია კრება, რომლებსაც ესწრებოდა უპარტიო წითელ-არმიელების უმრავლესობა.

მინდა აღვნიშნო თუ როგორია პარტიული მუშაობა კომუჯრედში. შემოღებულია ერთგვარი წესი, რომლის მიხედვითაც ყოველ კომუჯრედის წევრს ევალება რიგ-რიგობით მოხსენების გაკეთება მორიგ კრებაზე.

მაგრამ ჩვენი ყურადღებას აქ იპყრობს წითელ არმიელები, რომლებიც ანბანს სწავლობენ ყაზარმაში.

ამ მხრით აღსანიშნავია ის, რომ ჩვენს კომუჯრედში ვავალებთ წით. არმ. მოხსენების გაკეთებას, როგორც მაგალითად, ჩვენ დავავალეთ წით. არმ. გაზეთებისთვის ედევნა თვალყური და გაეკეთებია ინფორმაციული მოხსენება. მეორე წითელ არმ. დავავალეთ წაეკითხა თენგიზ ელენტის წერილი, საჭიროა თუ არა მუდმივი ჯარი.

გარდა ამისა ირჩევა ყოველივე კითხვები, რაც ჩვენთვის გაუგებარს წარმოადგენს. თუ ასეთი სისტემა არის ყველა კომუჯრედებში და ის პრაქტიკულად არ არის გატარებული, საჭიროა ყურადღება მიაქციონ ამას და ჩააბან პარტიულ აღმშენებლობაში ყველა წითელ არმიელი. აქ ის გაიწვრთნება და მომავალში გაუადვილდება მუშაობა საერთო საქმისათვის. ამის შემდეგ არც ერთი კომუჯრედის წევრი არ იქნება პასიური წევრი და ყველანი მიიღებს ენერგიულ მონაწილეობას. ამით ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ასეულის კომუჯრედები უფრო ჩაება პარტიულ მუშაობაში, ვიდრე ათასეულის კომუჯრედები.

პარტკორი: **ლეფენვერ.**

რაზედ გვწერენ

ჯილდოს რა მოუვიდა?

24 თებერვალს მოხდა სპორტ-შეჯიბრება ქ. მ. დ. ადგილობრივ ნაწილებისა ვაკეზე, რომლებზედაც იყო გამოსული ჯილდოები იმ პირთათვის, რომლებიც გაიმარჯვებდენ სხვა და სხვა შეჯიბრებაში. ვთხოვთ კომისიას გვაცნობოს, რა არის მიზეზი, რომ თუ სხვა ნაწილების წ. ლაშქრელებს მიეცათ ჯილდო, რატომ მესანგრე ასეულის წ. ლაშქ. ამხ. ჯანჯღავას, რომელსაც ეკუთვნოდა ჯილდო სწრაფ სირბილში, არ აძლევთ?

სამტრედიელი.

ახალი ამბები

რევტრიბუნალში.

27 მარტს დანიშნულია უმც.მეთ. სკოლის კოოპერატივის ყოფილ გამგეობის წევრების შენგელიას და ლოლუას საქმე. ბრალდებათ კოოპერატივის ქონების და ფულის გატაცება.

— **საავადმყოფოების შემოსავალი.** უკანასკნელი 4 თვის განმავლობაში 5 საავადმყოფოდან ჯანმრთელობის კომისარიატს შემოსულია 1930 მანეთი ჩერვონეცით.

— **საფერშლო პუნქტი.** სოფ. წილკანში გაიხსნება საფერშლო პუნქტი, რომელიც მცხოვრებთ უფასოთ მიაწვდის წამლეულობას.

— **ბრძოლა ვენერიულ ავადმყოფობასთან.** ჯანმრთელობის კომისარიატმა დაარსა ბიურო, რომელსაც ევალება დაამზადოს მასალები საქართველოში ვენერიულ ავადმყოფობებთან ბრძოლის შესახებ.

— **ახალი ბანკი.** 1-ლ აპრილს გაიხსნება ა. კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი რომელიც განათლების კომისარიატის მეორე სართულზე მოთავსდება.

— **მეეზოვეების დაზღვევა.** დამზღვევმა კასამ სავალდებულოთ სცნო და მიიღო პროექტი მეეზოვეთა დაზღვევის შესახებ.

— **უმუშევართა მოძრაობა.** 20 მარტს შრომის ბირჟაზე ახლათ ჩაეწერა 120 უმუშევარი. სამუშაოზე გაიგზავნა 47 კაცი.

შემთხვევები.

— **ქურდი ქმარი.** 17 მარტს ლიუბა სვანიძის ბინა გაქურდა მისმა ქმარმა დათიკო სვანიძემ და მიიმალა.

— **ბანქოს თამაშის შედეგი.** 19 მარტს ღამის 2 საათზე აკიმოვის ქ. № 2 კონსტანტინოვას ბინაზე ბანქოს თამაშის დროს ტეხო კუპრაშვილმა ხანჯლით თავში და ზურგში დასჭრა გრიგორიანცი. კუპრაშვილი შეიპყრეს.

— **შეპყრობა.** 19 მარტს შეიპყრეს ქურდი ზალატიანი რომელმაც გაქურდა კლავდია ბულატოვის ბინა მოსკოვის ქუჩაზე.

— **ეკლესიის გაქურდვა.** 18 მარტს გაქურდეს სომხის ეკლესია კახეთის ქუჩაზე. წაღებულია 18 ჩერვონეცის ნივთები.

ხელოვნება.

— **ინვალიდთა სასარგებლოთ.** 27 მარტს ქართულ კლუბში გაიმართება საღამო ომში დასახიჩრებულთა სასარგებლოთ.

— **ფ. მახარაძის ნაწერები.** დაიბეჭდა და ამ დღეებში გასასყიდათ გამოვა ფ. მახარაძის ნაწერების პირველი ტომი. წიგნი შეიცავს 400 გვერდს.

— **სადღესასწაულო ნათვლა.**

დღეს პროფკავშირთა კლუბში გაიმართება სადღესასწაულო ნათვლა და რევოლიუციონური ქორწინება.

დღეს თეატრებში.

ოპერა.—პროფკავშირის წევრთათვის.

დრამა.—„გაზი" პროფკავშირის წევრთათვის.

სახ.სახლი.—რუსუ. წარმოდგენა.

ცირკი.—დიდი შაბათობა.

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის № 456-ში მეოთხე გვერდზე მოთავსებულ წერილის „ვინ იქნება შემდეგი" ხელმომწერის „კვირკელიძის" მაგიერ უნდა იყოს კვირიკაძე.

ექიმის საუბარი წითელ არმიელთან.

(გაგრძელება).

სიფილისიანი ამჩნევს თავის საშინელ მდგომარეობას, როდესაც ავათმყოფობა სხვა და სხვა ორგანოებზე თავს იჩენს, რის შემდეგ აქიმობაც უფრო ძნელია. მით უფრო მომატყუებელია ეს იარა, რომ ის ძალიან ხშირად, გინდ არ უაქიმო მას, თვითონვე ჰქრება რამოდენიმე ხნის შემდეგ და სიფილისიანიც არხეინად გრძნობს თავს. მაგრამ გადის ერთი, მეორე თვე და მდგომარეობა იცვლება: ადამიანი გრძნობს რაღაც უქეიფობას, ეკარგება ენერგია და შრომის უნარი, სტკივა ძვლები, განსაკუთრებით წვივებში და კოჭებში, სტკივა კუნთები და თავი. ეს ტკივილები ძლიერდებიან ღამისას და თან და თან ისე ვითარდებიან რომ საშინლად სტანჯავენ ავათმყოფს. სიცხესაც კი აძლევს რამოდენიმე დღეს და ერთ უბედურ დღეს ხედავს რომ გამოყარა ტანზე წინწკლები, ეს წინწკლები ზოგი წითელია, ზოგი ამობუშტულია და შიგ ჩირქია. ზოგი ბუშტი გამსკდარა, იქიდან გადმოდის ჩირქი და ედება ტანზე. ამ დროს ყრონტშიდაც უჩნდება ავათმყოფს სიფილისის იარა, რომელიც სტკივა, უშლის ყლაპვას და ხმასაც უხრინწავს ან სრულიადაც ართმევს. ეს მდგომარეობა ავათმყოფის წარმოადგენს ეგრედ წოდებულ სიფილისის მეორე ხანას ანუ სტადიას და ამ დროს სიფილისიანი ძალიან საშიში არის ავათმყოფობის გადმოდების მხრივ, არამც თუ სქესობრივ გზით, არამედ ხელის ჩამორთმევით-კოცნით, მასთან ერთი ჯამის და ჭიქის ხმარებით, მისი პაპიროსით და სხვა, ამისთანა ავათმყოფს რასაკვირველია შორს უნდა გაუდგე, რომ არ გადმოგედვას სიფილისი. ეს, სიფილისის მეორე სტადიის, დაყრილი წინწკლები, დაჩირქებული იარები, ტკივილები ხანდისხან გასტანს ერთ ორ თვეს და მერე ჰქრებიან სამ-ოთხ თვით, რომ ამ ხნის შემდეგ განმეორდეს მეტის სიმძლავრით, ტკივილებით და ტანჯვით. ამისთანა განმეორება ხდება რამოდენიმეჯერ და ავათმყოფმა არ იაქიმა ან გლახათ იაქიმა, მას ორ, სამი ან ოთხი წლის შემდეგ სიფილისი გადაუდის მესამე ხანაში, როდესაც სიფილისი საშინლად ასახიჩრებს ადამიანს, აზრს უკარგავს და საბოლოოდ ის კვდება. მაგრამ ამაზედ შემდეგში.

ექ. კოსტავა

სასოფლო მეურნეობა.

საქონლის ჯანმრთელობის ნიშნები.

ავადმყოფი საქონლის შენახვა საზარალოა და მას დაუყონებლივ უნდა შველა, რომ სენი არ გაძლიერდეს და ის იმსხვერპლოს.

შეამჩნევთ თუ არა საქონლის ავადმყოფობას, მაშინვე მიმართეთ ექიმს, თორემ მარტო თქვენი საქონელს კი არ დაღუპავთ, შეიძლება სენი მთელ სოფლის საქონელს მოედოს და მთელ სოფლის მცხოვრებთ დაუკარგოთ არსებობის საღსარი.

ჯანსადი საქონელი მადიანათ სჭამს და სვამს, იძლევა რძის ჩვეულებრივ რაოდენობას, კარგათ იცოხნის, სადათ ინელებს საკვებს, მხიარულად გამოიყურება, აქვს ბრჭყიალა, სწორი ბალანი, ცხვირის სარკე აქვს სველი, ყურები თბილი, სულის თქმა სწორი და მშვიდი, კუჭი თანაბარად მოძრაობს.

სიცხის გასაგებათ საუკეთესოა თერმომეტრი, და თუ ასეთი არ მოიპოვება შეატყობთ იმით, რომ სიცხიან საქონელს ცხვირის სარკე უშრება, უცხელდება; ცხელი აქვს აგრეთვე რქები და ყურები, თვალები აერევა.

სულის თქმა ნორმალურად ითვლება 10—30—ჯერ წუთში; თუ მეტი აქვს და საქონელი არ არის დაღლილი სიარულით ან მუშაობით—საქონელი ავადმყოფია.

საქონლის განავალი დამოკიდებულია საკვებზე და თუ მიუხედავად იმისა რომ საქონელს მშრალი საკვები მიეცა, ის კი თხლად გადის საქონელს კუჭი ატკივებული აქვს.

შარდი საღ საქონელს მოყვითლო აქვს და თუ სხვა ფერისაა, ნამეტურ მოწითლო, საქონელი ავადმყოფია.

შეამჩნევთ თუ არა საქონლის ავადმყოფობას, დაუყონებლივ მიმართეთ ექიმს, ვინაიდან, როგორც ზემოთ ვთქვი, შეიძლება ავადმყოფობის დაფარვით სენი მთელი სოფლის საქონელს გადაედოს.

უსაქონლოდ მეურნე შიმშილით მოკვდება.

ნუ მიმართავთ სოფლის მკითხავებს. ლოცვით და ვედრებით არავინ მორჩენილა და საქონელიც არ მორჩება.

ექიმი კი დაგეხმარებათ წამლებით, რჩევით, განკურნავს სენისაგან შენ მარჩენალ საქონელს.

ზ—ლი.

სამხედრო ტერმინოლოგია.

(ამხ. გობრონიძის წერილის საპასუხოდ).

სამხედრო ტერმინოლოგიის შექმნა დაიწყო ქართულ სამხედრო ლიტერატურის, ე. ი. წესდებების და სახელმძღვანელოების ბეჭვდით. ქართულად შედგენის და გადმოთარგმნების პროცესში შემუშავდებოდა და შემუშავდება სპეციალი სამხედრო ტერმინოლოგია, რომელშიაც შედის თითქმის ყველა სამეცნიერო დისციპლინის სიტყვა—ტერმინები. ასეთ მუშაობის შესრულება არც მალე შეიძლება და არც უიმისოდ, ვიდრე საგამომცემლო სარედაქციო კოლეგიის ხელთ არ ექნება და მის კრიტიკის ქარცეცხლში არ გაივლის ესა თუ ის სამხედრო ნაწარმოები. ამ შრომებიდგან და კერძოდ მოგროვილ—შექმნილ ტერმინებით უნდა შეივსოს ლექსიკონი. ასე შეუკრეფია და თავი მოუყრია სიტყვა ტერმინებისთვის ლექსიკონის ყოველ შემდგენს და ამ გზას ადგია დღეს სარედაქციო კოლეგიაც.

არსებული სამხედრო-ტეხნიური ლექსიკონი დამაკმაყოფილებელი და სრული არ არის; იგი შესწორდა, დაემატა და პროფესორთა საბჭოს უკვე გადაეცა სანქციისთვის, მაგრამ სამხედრო მსახურთ წინდაწინვე უნდა იცოდენ, რომ არც ეს ახალი გამოცემა იქნება სავსებით დამაკმაყოფილებელი, რადგანაც ამოწურვა სამხედრო მეცნიერებისთვის საჭირო სიტყვა-ტერმინებისა შესაძლებელია არა თხელ ჯიბით სატარებელ ლექსიკონებით, არამედ რამოდენიმე ასფურცლოვან გამოცემით. ვისაც წარმოდგენა აქვს სამხედრო ცოდნის სიფართოვისა და მის დამხმარე მეცნიერებათა სიმრავლისა დაგვეთანხმდება, რომ ჩვენი გზა და მოსაზრება სამართლიანია.

რაც შეეხება კერძოდ ამხ. გობრონიძის წერილს, კოლეგია დიდის სიამოვნებით მოისმენს, როგორც ამხ. გობრონიძეს აზრს, ისე ყველა დანარჩენებისას, რომელთაც აინტერესებთ ჩვენი სამხედრო ლიტერატურის ჩამოყალიბება და გაწმენდა წერის და საბასო ენისა.

ტერმინების ხმარების სხვადასხვაობა, რომელზედაც მიგვითითებს აღნიშნულ წერილის ავტორი, გამოწვეულია არა „სამხედრო ლიტერატურაში დიდი უწესრიგობის სუფევის" გამო, არამედ იმ მიზნით, რომ იყო გამოცემული კოლეგიის დაარსებამდე, რომლებშიაც ნახმარი იყო ერთგვარი ჩვენთვის მიუღებელი ტერმინოლოგია; კოლეგიამ შესცვალა შემდეგ გამოცემებში ზოგიერთი ტერმინები და რომ მკითხველს შესძლებიყო შეთვისება ახალი ტერმინისა, კოლეგია ყოველთვის გამოცემას დაურთავს კერძო პატარა ლექსიკონს. ეს საშუალება და ლექსიკონის დამტკიცებამდე გამოცემების გამოშვება იმითია გამოწვეული, რომ ჩვენი წით. ყაზარმები უწიგნოთ არის; სწავლა-მეცადინეობისთვის კი აუცილებელია რაიმე მივაწოდოთ სკოლებს და ჯარს.

მომავალში, როდესაც კოლეგია მიიღებს პროფესორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ სამხედრო ტერმინოლოგიას, იგი ყველასათვის სავალდებულოდ აჩქარებით გამოსცემს და მიაწვდის ყველა სამხედრო ნაწილებს.

„ამ ჟამად გვაქვს? (გვყავს) სარედაქციო კოლეგია" და იგი ცდილობს, რამდენადაც შეიძლება, სასურველი ერთგვარობა შეიტანოს ჯარის ენაში, მაგრამ ჯარში მოღვაწეთაც ევალებათ კვალდაკვალ მისდიონ ქართულ სამხედრო მეცნიერულ-ლიტერატურულ ენის განვითარებას და ცხოვრებაში გატარონ, ყური მიუგდონ წითელ არმიელების ლაპარაკს, დროზე შეგვისწორონ ხალხური გამოთქმით ის. რაც ჩვენ მწიგნობრულად ან ჩვენით შექმნილი გვაქვს გამოცემებში. აი „ისინი მოგვცემს? (მოგვცემენ) დიდ მატერიალს? (მასალას) ტერმინოლოგიის შემუშავებისთვის".

მაგალითათ: საკავშირო გუნდში ცხენს ჰშინჯავდნენ. ცხენს ფეხები სტკივა. რა ჰქვიან ქართულად ამ ავადმყოფობას, კითხულობს ერთი.

— არ ვიცით, გაისმა აქეთ იქით.

— რასა, გამოდის ერთი კახელი ჯეელი, ამას—დაადო ხელი ცხენის შეშუპებულ ფეხს—ამას **შუშაყი** ჰქვიან. Мокрецы—მოკრეცად კი არ იქნება მოხსენებული მომავალ გამოცემაში, როგორც კოლეგიას ჰქონდა წარმოდგენილი თარგმანში, არამედ **შუშაყად**.

ვისაც გული შესტკივა და ჰსურს ჩვენი „სამხედრო ტეხნიური ლექსიკონი" სრული იხილოს, კოლეგია სთხოვს წაკითხულ-გაგონილიდგან ამოკრიფოს სამხედრო საქმისთვის გამოსადეგი სიტყვები და მოაწოდოს კოლეგიას, ან პრესის საშუალებით გაუზიაროს. ასეთ ფართე თანამშრომლობით მალე მივაღწევთ ენის გამდიდრებასაც და მის სავალდებულო ერთგვაროვნობასაც, რადგანაც ხმა ერისა იქნება კანონი და არა კერძო ადამიანების ნაცოდინარი.

ქართული სამხედრო საგამომცემლო კოლეგია.

მეცნიერება და ტექნიკა

ელექტრონის გამოყენება ახალ მიზნებისათვის.

(გაგრძელება)

წინა წერილში ვწერდით, რომ ელექტროსმოზმა დიდი პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა თქო. დავასახელეთ ელექტროსმოზმის საშვალებით ტყავის გამოყვანის წესი და ისიც ვთქვით, რომ ელექტრონის ამ მოვლენამ დიდი სარგებლობა მოიტანა სხვა და სხვა სანოვაგის ბაცილებისაგან გაწმენდის საქმეში. მართლაც რა დიდი საქმეა ეს თუ გნებავთ ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებისკენ მიმართული. ჩვენი არსებობა ხომ ნახევრად, საჭმელთან ჩაყოლის მიკრობებისაგან იკვეცება. საჭმელ სასმლის ასეთი წესით მიკრობებისაგან გაწმენდა უდიდეს ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.

გერმანიაში ელექტროსმოზის გამოყენებამ ამ მიმართულებით ერთობ მოიკიდა ფეხი. ეხლა უკვე გერმანიაში 16 ქარხანაა, რომლებიც, მხოლოდ სანოვაგის ბაქტერიებისაგან გაწმენდის საქმეს შესდგომიან. აი როგორ ხდება ეს. წინა წერილში აღნიშნულ ძგიდით გადაყოფილ ჭურჭელში, მაგალითად ჩასხმულია რძე. ატარებენ მასში ელექტრონის ნაკადს. რძეში არსებული ყველა მიკრობები ამის გამო ჭურჭლის ერთი განყოფილებიდან გაყვებიან ნაკადის მიმართულებას მეორეში. ძგიდე ნახვრეტებიანი და მას წინააღმდეგობას არ უწევს. ეს წესი გაცილებით სჯობია რძის გაწმენდის ჩვეულებრივ წესს, რომელიც გამოიხატება, რძეში ბაქტერიების ქიმიური პრეპარატების საშვალებით გაწმენდაში. ამ შემთხვევაში ბაქტერიები იხოცებიან რძეში და იქვე რჩება მათი სხეულები, მეორე მხრივ სხვა და სხვა ქიმიური პრეპარატებიც ხომ რჩება რძეშივე, რაც ერთგვარი მავნებლობა მოაქვს ორგანიზმისათვის. ელექტროსმოზის დროს კი ყველაფრისაგან იწმინდება რძე.

ელექტროსმოზმა დიდი მოხმარება ჰპოვა აგრეთვე სხვა და სხვა ბაქტერიული კულტურის დამზადებაში. შაქრის წარმოებაშიც იხმარება ელექტროსმოზი სხვა და სხვა მარილებისაგან გაწმენდის მიზნით. ამერიკაში კიდევ სხვა მიზნებისათვის გამოიყენეს ელექტრონის ეს მოვლენა. ელექტროსმოზის საშვალებით ისინი ამზადებენ ხის სხვა და სხვა სახეს, რომლებიც დიდ გამძლეობას იჩენენ წყლისა და სხვათა მოქმედების წინააღმდეგ.

ამისათვის საჭირო ფიცარს ასრულებინებენ ჭურჭელში ძგიდის როლს. ელექტრონის ჩქერის მოქმედებით ფიცრიდან გამოდის ყოველგვარი სითხე და მის ადგილს იჭერს სხვა ნივთიერებანი, რომლებიც სათანადო გამძლეობის თვისებას აძლევს ფიცარს. აღნიშნული მოხმარება ელექტროსმოზის, მხოლოდ პირველი ნაბიჯია ელექტრო ქიმიაში, სადაც უდიდესი მუშაობა სწარმოებს ეხლა, რომ მეცნიერება დადგეს უფრო მოულოდნელი მოვლენების წინაშე.

შ. ს.

ჩერვონცის კურსი 22 მარტს

1 ჩერ. 15,500,000,000.

ჩერვონცის კაპეიკები ამიერ-კავკასიის ბონებში.

1კ.	15,500,000	55 კ.	852,500,000
2კ.	31,000,000	60 კ.	930,000,000
3კ.	46,500,000	65 კ.	1,007,500,000
4კ.	62,000,000	70 კ.	1,085,000,000
5კ.	77,500,000	75 კ.	1,162,500,000
6კ.	93,000,000	80 კ.	1,240,000,000
7კ.	108,500,000	85 კ.	1,317,500,000
8კ.	124,000,000	90 კ.	1,395,000,000
9კ.	139,500,000	1 მ.	1,550,000,000
10კ.	155,000,000	2 მ.	3,100,000,000
15კ.	232,500,000	3 მ.	4,650,000,000
20კ.	310,000,000	4 მ.	6,200,000,000
25კ.	387,500,000	5 მ.	7,750,000,000
30კ.	465,000,000	6 მ.	9,300,000,000
35 კ.	542,500,000	7 მ.	10,850,000,000
40 კ.	620,000,000	8 მ.	12,400,000,000
45 კ.	697,500,000	9 მ.	13,950,000,000
50კ.	775.000.000	10 მ.	15.500.000.000

ნ. დ. ს. ც.   ტირაჟი 1.300   სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.   პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.